

## თბილისში არქიტექტურის ბიენალე გაიმართება

26 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, გლდანის რაიონში, „თბილისის არქიტექტურის ბიენალე („თაბ 2018“) გაიმართება. ღონისძიების მთავარი თემაა „მხოლოდ შენობები არ კმარა“, რომელიც საცხოვრებელი უბნების არაფორმალურ ურბანულ და სოციალურ სივრცეების კვლევას შეეხება.

**თბილისის არქიტექტურის ბიენალის** მიზანია, სიღრმისეულად გაიაზროს პოსტ-საბჭოური ტრანსფორმაციის ეპოქა და გამოიკვლიოს, თუ როგორ მიმდინარეობს ამ ცვლილებების ასახვა ურბანულ გარემოზე, მათ მომხმარებლებზე და როგორ მონაწილეობს საზოგადოება ამ პროცესებში.

თბილისის არქიტექტურის ბიენალე უმასპინძლებს მსოფლიოში წამყვან არქიტექტორებს, მეცნიერებს, ხელოვანებს და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც იმსჯელებენ და შეეცდებიან ხაზი გაუსვან არაფორმალური არქიტექტურისა და ურბანული სივრცის მრავალფეროვნებას და განიხილონ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მიდგომებს.

ბიენალე შედგება როგორც შიდა, ასევე ღია სივრცეში გამართული აქტივობებისგან, მათ შორისაა: გამოფენები, სიმპოზიუმი, საჯარო ლექციები, გლდანის ტურები გიდის თანხლებით, ფილმების ჩვენებები, ხელოვანთა პერფორმანსები, ურბანული და არქიტექტურული ინსტალაციები. შეიქმნება საჯარო ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც გლდანის ღია სივრცის ნაწილი გახდება.

“ჩვენი მთავარი მიზანია, მოხდეს თბილისსა და სხვა ქალაქებში არქიტექტურული და ურბანული საკითხებისადმი ცნობიერების ამაღლება და უკვე არსებული კრიტიკული დისკურსის მეტად გამყარება. თაბ 2018 ის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში, მოწვეული ქართველი და უცხოელი სტუმრების გარდა, გვინდა, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ თბილისის მაცხოვრებლებმა, როგორც ზემოთ აღწერილი პროცესის უშუალო მონაწილეებმა” - თინათინ გურგენიძე, თაბ -ის თანადამფუძნებელი

პროექტის მხარდამჭერები არიან შემოქმედებითი ევროპის ცენტრი, ევროპის კულტურული ცენტრი, თბილისის მერია, აწარმოე საქართველოში, თი ბი სი ბანკი და აჭარა ჯგუფი.

თბილისის არქიტექტურის ბიენალე 2018 წლის 3 ნოემბრამდე გაგრძელდება და ყველა ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

დეტალური პროგრამა იხილეთ ვებ გვერდზე: [www.biennial.ge](http://www.biennial.ge)

## **„მხოლოდ შენობები არ კმარა“**

თბილისის არქიტექტურის ბიენალე 2018 წლის თემაა „მხოლოდ შენობები არ კმარა“, რაც გულისხმობს განაშენიანების ქაოტურ განვითარებას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში. თბილისის ყოფილ საბჭოთა მიკრო-რაიონებში აღმართული საცხოვრებელი შენობები ბედნიერი კოლექტიური ცხოვრების იდეალისტური ხედვით აშენდა. მაგრამ შენობები არ კმაროდა მაცხოვრებელთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ანალოგიურად, მიკრო-რაიონები და სოციალური საცხოვრებლები არ აღმოჩნდა საკმარისი კოლექტივიზაციის შესაქმნელად. როგორც კი ეს შენობები და მათი მოსახლეები გათავისუფლდნენ სოციალური სენტიმენტების შექმნის ვალდებულებისგან, შენობებმა გარდაქმნა დაიწყეს გალამაზებისა და კომფორტის ინდივიდუალური მოთხოვნილებების ლოგიკის შესაბამისად. თაბ 2018 ის მიზანია „მხოლოდ შენობები არ კმარა“ თემის გარშემო მოხდეს ზემოთაღნიშნული ტრანსფორმაციის ეპოქის პროცესების სიღრმისეულად შესწავლა და გამოკვლეულ იქნას, თუ როგორ მიმდინარეობს ამ ცვლილებების ასახვა ურბანულ გარემოზე, მათ მომხმარებლებზე და როგორ მონაწილეობს საზოგადოება ამ პროცესებში.

„მხოლოდ შენობები არ კმარა“ ნათლად აჩვენებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისში გაჩაღებული ქაოტურ მშენებლობების პროცესს. დღეს, ბოლო 25 წლის მანძილზე მიმდინარე პროცესები განაპირობებენ თბილისის, ისევე, როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქალაქების ურბანულ სივრცეს. ერთის მხრივ, შესაძლებელია ამ ფენომენის გლობალურად განხილვა: ეს არის ქალაქის ჩვეულებრივი მოსახლის რეაქცია და პასუხი აბსოლუტურ არქიტექტურაზე, მათი შებოჭილი მდგომარეობის გადაწყვეტა. მეორეს მხრივ, „მხოლოდ შენობები არ კმარა“ არის არსებული სოციო-ეკონომიკური უწყესრიგობის დემონსტრაცია.

## თბილისის არქიტექტურის ბიენალეს შესახებ

თბილისის არქიტექტურის ბიენალე 2017 წელს დააარსა თინათინ გურგენიძემ, ნათია კალანდარიშვილმა, ოთარ ნემსაძემ და გიგი შუკაკიძემ. ბიენალეს მიზანია, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გააერთიანოს პროფესიონალები სხვადასხვა დისციპლინებიდან ერთი თემის გარშემო. ღონისძიების განმავლობაში გადაწყვეტილების მიმღებნი, ადგილობრივი საჯარო და სხვა დაინტერესებული პირები წარდგებიან აუდიტორიის წინაშე, რითაც წამოიწყებენ და გააფართოებენ კრიტიკულ დისკურსს თბილისში და მის მიღმა არსებულ არქიტექტურულ და ურბანულ საკითხებზე.

ბიენალეს პლატფორმა საერთო ძალებით გამართავს გამოფენებს, ახალ არქიტექტურულ ინსტალაციებს, სივრცით ექსპერიმენტებს, სიმპოზიუმებს და სხვა აქტივობებს, რომლებიც კონკრეტულ ღონისძიების თემატიკას დაუკავშირდება. თემა, ლოკაცია და კურატორი ყოველი ღონისძიებისთვის განსხვავებული იქნება.

## **შემოქმედებითი ჯგუფი**

### **თინათინ გურგენიძე**

თინათინი ცხოვრობს და მოღვაწეობს ბერლინში. ის სხვადასხვა დროს თბილისსა და ბარსელონაში სწავლობდა არქიტექტურულ და ურბანულ დიზაინს. ამჟამად ის მუშაობს სადოქტორო ნაშრომზე, რომლის თემაც თბილისის გარეუბანში, გლდანის რაიონში მდებარე პოსტ-საბჭოთა მასიური დასახლებებია. თინათინის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია არქიტექტურული და ურბანული სივრცისადმი სოციოლოგიურ მიდგომაზე. ნაშრომში ის ცდილობს გამოიკვლიოს, თუ რა დაემართა გლდანის უბანს ტრანზიციის პერიოდში, მას შემდეგ, რაც 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. გარდა იმისა, რომ არაერთი სტატიისა და ლექციის ავტორია, თინათინი ასევე არის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს თანა-დამფუძნებელი და შემოქმედებითი დირექტორი.

### **გიგი შუკაკიძე**

გიგი თბილისის არქიტექტურის ბიენალეს თანა-დამფუძნებელია.

გიგიმ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების ფაკულტეტი დაამთავრა. ის ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში, სადაც 2013 წელს საკუთარი არქიტექტურული კომპანია, ვუნდერვერქი დააფუძნა, რომელსაც უკვე არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული და ასევე მუშაობს ექსპერიმენტულ-ანალიტიკური მიმართულებით. 2016 წლიდან ის მიესის დაჯილდოების მიწვეული დამოუკიდებელი ექპერტია.

## **ოთარ ნემსაძე**

ოთარი თბილისის არქიტექტურის ბიენალეს თანა-დამფუძნებელია. მას მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტიდან და მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი ურბანული მენეჯმენტსა და განვითარებაში როტერდამის ერასმუსის უნივერსიტეტის დასახლებისა და ურბანული განვითარების კვლევის ინსტიტუტიდან. ის ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იცავს სადოქტორო ნაშრომს ზონალური რეგულაციებისა და ტერიტორიული მიწეზით გამოწვეული კონფლიქტების შესახებ.

## **ნათია კალანდარიშვილი**

ნათია თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ერთ-ერთი თანა-დამფუძნებელია. ის ასევე არის ქართული საჩუქრებისა და სუვენირების მწარმოებელი კომპანიის, მაწერ-არტის თანა-დამფუძნებელი და დირექტორი და ინტერიერის დიზაინის ჟურნალის, „ინტერიერის“ თანა-დამფუძნებელი და შემოქმედებითი რედაქტორი. ნათიას აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის ფართო გამოცდილება: ის რამდენიმე საჯარო ინსტიტუციის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტებს ხელმძღვანელობდა. მას დამთავრებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის ფაკულტეტი. 2014 წელს ნათია ჯორჯ სი მარშალის სახელობის უსაფრთოების კვლევების ევროპულმა ცენტრმა მარშალის ცენტრის მკვლევარის ტიტულით დააჯილდოვა.

## ისტორიული ფაქტები

1988 წლის ნოემბერში თბილისმა უმასპინძლა არქიტექტურულ ბიენალეს. ერთკვირიანი ღონისძიება, რომელზეც წარმოდგენილი იყო ნამუშევრები აშშ-დან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან და საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან და რომლის ჟიურის წევრებს შორისაც იყვნენ ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო არქტირექტორები, როგორცაა მასიმილიანო ფუკსასი, იყო პირველი და ერთადერთი ბიენალე, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაიმართა და სადაც აისახა ავტორიტარულ სახელმწიფოში თბილისის, როგორც შემოქმედებითი თავისუფლების კუნძულის როლი და მისი მიმღებლობა სინალეებისადმი ამ დახურულ საზოგადოებაში. საბჭოთა კავშირის დაშლა და შემდგომი არასტაბილური პოლიტიკური გარემო გახდა მიზეზი, რის გამოც მომდევნო წლებში ღონისძიება აღარ გაგრძელებულა. 2018 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალე იქნება 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ასეთი ხასიათის პირველი ღონისძიება.

## ადგილმდებარეობა გლდანში

თბილისის ყოფილ საბჭოთა მიკრო-რაიონებში საცხოვრებელი შენობები ბედნიერი კოლექტიური ცხოვრების იდეალისტური ხედვით აშენდა. სწორედ გლდანის რაიონი არის ერთ-ერთი საბჭოთა იდეოლოგიის უტოპიური ხედვის თანამედროვე ადამიანური საცხოვრებელი სტანდარტების ლოგიკასთან ადაპტირების ცოცხალი იდეალური მაგალითი.

თბილისის განაშენიანების გენგეგმის დამტკიცების შემდეგ, გლდანის მიკრორაიონის მშენებლობა იმავე სახელის მატარებელი სოფლის ტერიტორიაზე გასული საუკუნის 70იანი წლებიდან დაიწყო. გლდანის დაპროექტება იმდროინდელ ახალგაზრდა არქიტექტორ თეიმურაზ ბოჭორიშვილს დაევალა. გლდანის პროექტი 8 მიკრორაიონს მოიცავდა, ინდუსტრიული, ტიპიური მსხვილ პანელოვანი შენობებით და 147 000 ადამიანზე იყო გათვლილი. ერთ დროს გლდანს საძილე უბნად მოიხსენიებდნენ, დღეს კი გლდანში ცხოვრება ჩქეფს და მასში დაახლოებით 170 000 ადამიანი ცხოვრობს.

## “თბილისის არქიტექტურის ბიენალე“-ს ფარგლებში სიმპოზიუმი გაიმართება

თბილისი,

27 ოქტომბერი, 2018 წელი

„თბილისის არქიტექტურის ბიენალე“-ის ფარგლებში 27 და 28 ოქტომბერს, „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ (მისამართი - გლდანის მე-5 მიკრო რაიკონი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა) სიმპოზიუმი გაიმართება. სიმპოზიუმის მიზანია თბილისისა და მის მიღმა არსებულ არქიტექტურულ და ურბანულ საკითხებზე მსჯელობა და ამ მსჯელობაში როგორც არქიტექტორების, ასევე გადაწყვეტილების მიმღები პირების, სპეციალისტების, მკვლევარების, ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული პირების ჩართვა.

ორ დღიანი სიმპოზიუმი თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა და მისი მიზანია მთავარი თემის „მხოლოდ შენობები არ კმარა“ გააზრება“ - ოთარ ნემსაძე, თბილისის არქიტექტურის ბიენალეს თანა-დამფუძნებელი

სიმპოზიუმი ორი ნაწილისგან შედგება: დისკუსიები და მოწვეული სპიკერების გამოსვლები. წელს დისკუსიებში ჩაერთვება 30-ზე მეტი მონაწილე 15-ზე მეტი ქვეყნიდან (საქართველო, აშშ, ნორვეგია, ბრაზილია, პოლონეთი, გერმანია, სომხეთი, ავსტრია, თურქეთი, ჰონგ-კონგი, ნიდერლანდები, ბულგარეთი, სლოვენია და სხვა).

დისკუსიები ორგანიზებული იქნება ძირითადი თემების ირგვლივ:

- პერიფერიების პედაგოგია
- არქიტექტურული ინსტიტუციები და ქალაქი
- გლდანის მაგალითი
- საზოგადოება და კონტრსაზოგადოება
- ახალი ეკონომიკები / ახალი სივრცეები
- პოსტსაბჭოთა ცვლილებები

მოწვეული სპიკერები იქნებიან წამყვანი საერთაშორისო არქიტექტორები:

- რაინერ დე გრაფი
- ნინა რაჰაპორტი
- ნორჟე ხაურიგი
- ალექსანდრ ბროდსკი



სიმპოზიუმზე ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის იქნება შესაძლებელი და სრულები უფასოა. გთხოვთ წინასწარ შეავსოთ (არავასავდებულო) ფორმა შემდგომ ვებ გვერდზე: <https://goo.gl/67iXnF>

პროექტის მხარდამჭერები არიან შემოქმედებითი ევროპის ცენტრი, ევროპის კულტურული ცენტრი, თბილისის მერია, აწარმოე საქართველოში, თი ბი ის ბანკი, აჭარა ჯგუფი.

თბილისის არქიტექტურის ბიენალეს სრული პროგრამა იხილეთ ვებ გვერდზე: [www.biennial.ge](http://www.biennial.ge)

###

## რეინერ დე გრააფი თბილისის არქიტექტურის ბიენალეზე

თბილისი

28 ოქტომბერი, 2018 წელი

თბილისის არქიტექტურული ბიენალეს ფარგლებში თბილისის ესტუმრება წამყვანი არქიტექტორი რეინერ დე გრააფი, რომელიც 28 ოქტომბერს, 13:00 საათზე გლდანის გასართობ შემეცნებით და ტრენინგ ცენტრში გამართულ სიმპოზიუმზე მოწვეულ სპიკერის რანგში წარსდგება და იმსჯელებს საკუთარ წიგნზე “კედლები და ჭერი - მარტივი პროფესიის რთული ბუნება”.

რეინერ დე გრააფის წიგნი “კედლები და ჭერი: მარტივი პროფესიის რთული ბუნება” ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და ბოლო პერიოდის ერთ-ერთ საყურადღებო ნამუშევრად ითვლება.

დე გრააფს საკუთარი შეხედულებები გააჩნია არქიტექტორის რთული ურთიერთობებზე დეველოპერებთან, პოლიტიკოსებთან, ბიუროკრატებსა და კონსულტანტებთან. ამ სფეროში საკუთარ ტრაგიკომიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ის განიხილავს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მისი მარტივი პროფესიის რთული ბუნებას განსაზღვრავენ, ნიუ იორკის გარეუბნებიდან ჩრდილოეთ ერაყის ნანგრევებამდე. დე გრააფი აღწერს ოლიგარქებს, რომელთაც განზრახული აქვთ საკუთარი ამბიციები ცემენტსა და ფოლადში გამოსახონ, დეველოპერებს, რომლებისთვისაც არქიტექტურა ინვესტიციაა, მრავალშრიან ფენებს იმ პოლიტიკოსების, ბიუროკრატების, კონსულტანტებისა და იდუმალი მედროვეებისა, რომლებიც ნებისმიერ არქიტექტურულ იდეასა და მის განხორციელებას შორის დგანან. დისკუსიის შემდეგ არქიტექტორი შეხვდება მის გულშემატკივრებს და სამახსოვრო ხელმოწერებს დაუტოვებს წიგნებზე,

ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის იქნება შესაძლებელი .

თბილისის არქიტექტურის ბიენალეს შესახებ დამატებითი ინფორმაცი იხილეთ ვებ გვერდზე: [www.biennial.ge](http://www.biennial.ge)



**თბილისის არქიტექტურის ბიენალე 2018-ის ფარგლებში 26  
ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით თაბ -ის 15 ზე მეტი სხვადასხვა  
სივრცითი ინსტალაცია და გარე გამოფენა მოეწყობა .**

თბილისი

26 ოქტომბერი, 2018 წ

გლდანის მაგისტრალის გასწვრივ აგებული ინსტალაციები და პავილიონები ბიენალეს მთავარი თემის „მხოლოდ შენობები არ კმარა“ გარშემო არის ფოკუსირებული. ნამუშევრების კონტექსტი საქართველოს თანამედროვე სოციალ-კულტურული ვითარებაა. მონაწილეები საქართველოდან და მთელი მსოფლიოდან არიან. მაგალითად, იაპონელი ხელოვანი რეიჯირო ვადა საქართველოს ისტორიასა და ღვინის კულტურას ეხება მისი ინსტალაციით. შვეიცარიელი ხელოვანების ჯგუფი A-M-A (ანტი-მატერიალური არქიტექტურა) მეორადი მასალებით ქმნის არაფორმალურ მონუმენტს. რამდენიმე პროექტი გლდანის მიკრორაიონის მოსახლეობის ჩართულობაზეა დაფუძნებული მათ შორის იტალიელი არქიტექტორების ჯგუფის Babao Bureau-ს და თურქი ხელოვანის ონურ ჩერტიოდლუს ნამუშევრები. არაფორმალურ არქიტექტურაში წამყვანი ტენდენციები და ახალი ექსპერიმენტები არის მთავარი თემა ალექსანდრე ბროდსკის, ჯგუფი Copy-Pastes ნამუშევრებისთვის და ა.შ. პროექტებს შორის ნაწილი ღია კონკურსის წესით შეირჩა, ნაწილის ავტორები მოწვეული ხელოვანები არიან. თოთხმეტი ნამუშევარი გლდანის ტერიტორიაზეა გაშლილი, ოთხი პროექტი კი ბიენალეს თანმხლები ღონისძიებების პროგრამით თბილისის სხვადასხვა უბნებშია გადასაწილებული.

თაბ 2018 -ის შესახებ დამატებითი ინფორმაცი იხილეთ ვებ გვერდზე:  
[www.biennial.ge](http://www.biennial.ge)

###

## თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში ყოფილი KGB-ს

### ( ტრანსპორტის ფედერაცია) შენობაში გამოფენა გაიმართება.

თბილისი

26 ოქტომბერი, 2018 წ

გამოფენა გლდანის შუაგულში მდებარე ყოფილ KGB-ს, ამჟამად ტრანსპორტის ფედერაციის კუთვნილ შენობაში, მოეწყობა. ცნობილ აგურის ნაგებობაში კურატორების მიერ გამართული გამოფენა „მხოლოდ შენობები არ კმარა“ ორ ნაწილად იქნება გაყოფილი.

დროებითობა – ასე ჰქვია ექსპოზიციას, რომლის კურატორები არიან ბიენალეს თანადამფუძნებელი თინათინ გურგენიძე და ჰოლანდიელ-ქართველი ხელოვანი სოფია ტაბატაძე. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი ხელოვანები, მათ შორის: ონურ ჩერიტოდლოუ, ლადო დარახველიძე, თაკო რობაქიძე, დანიელ შპერი, სალომე ჯაში, კოტე ჯინჭარაძე, დავით კუხალაშვილი, დიანა ლუკას დროგანი, ჯერენ ოიქუტი, ტაიო ონორატო & ნიკო კრებსი, სალომე სინარულიძე, მიხეილ სვანიძე და გიორგი ტაბატაძე.

გამოფენა გადმოცემს სოციალური გარემოს არასტაბილურობას საქართველოში, სადაც ომმა და პოლიტიკურმა არეულობამ მოქალაქეებში მოულოდნელობის შიში წარმოშვა. ეს ფენომენი სივრცული ინსტალაციების, პერფორმანსების, არტისტული კვლევის, ნახატების, ფილმისა და ფოტოგრაფიის საშუალებით იქნება ნაჩვენები. ზოგიერთი მონაწილის ნამუშევარი უშუალოდ იქნება დაკავშირებული თბილისის კონტექსტთან და გლდანის დასახლებასთან. თვითნაშენი ფარეხები, მემორიალური შადრევნები, იძულებით გადაადგილებული პირები, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ძეგლის ნგრევა და ქალაქური ვაზის მოყვანა – ეს ყველაფერი კარგად გამოხატავს არაპროგნოზირებად და ცვალებად გარემოს.

გამოფენის მსვლელობისას მოეწყობა დისკუსია, სადაც ინსტიტუციები და მკვლევართა ჯგუფები განიხილავენ ურბანულ ცვლილებებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში.

წარმოდგენილი იქნება მიმდინარე კვლევითი პროექტები, რომლებიც ხორციელდება ETH Zurich-ში, TU Vienna-ში, TU Braunschweig-ის მდგრადი ურბანიზმის ინსტიტუტში, ილიას უნივერსიტეტსა და სხვაგან; კვლევითი გამოფენები უფრო კარგად დაგვანახებს ურბანული ცხოვრების არაფორმალურ მხარეებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება პროექტები ახლო აღმოსავლეთისა და

ჩრდილოეთი აფრიკის რეგიონებიდან. მათ შორის მოეწყო კვლევაზე დაფუძნებული გამოფენა „ეფემერული განგრძობითობა“, რომელიც უჩვენებს დევნილთა დასახლებების არქიტექტურას იორდანიაში. მისი კურატორები არიან: აიჰამ დალალი, ქამელ დორაი, პოლინ პირო-ფორნე და რანდ ელ ჰაჯი. პროექტი განხორციელდა Ifpo-ს (Institut français du Proche-Orient) მხარდაჭერით; შარლოტ მარლეტ-ბართის კვლევა კი ეხება აგრარულ მიწის ნაკვეთებსა და სარწყავ არხებს კაიროს არაფორმალურ დასახლებებში.

სტამბოლის მეტროპოლისის განიხილავენ ონურ ჩერთოდლოუ, გოზდე სარლაქი და ნაზლი თიუმერდემი. ონურ ჩერთოდლოუ იკვლევს ლითონის ნარჩენებით მოვაჭრეების საქმიანობას. ჩიკმაჯილარი – ასე უწოდებენ ლითონის ნარჩენების გამყიდველებს, რომლებიც დანგრეული შენობებიდან აგროვებენ გასაყიდ მასალას და ამით ისინი სტამბოლის არაფორმალური ურბანიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილი ხდებიან.

გოზდე სარლაქის ნამუშევარი უკავშირდება ალტერნატიულ საკვებ ქსელებს და ქალაქის ბაღებს, როგორც „საერთო სიკეთეების“ სივრცეებს კონცეპტუალიზაციას ახდენს. Istanbul Walkabouts-ის დამფუძნებელი ნაზლი თიუმერდემი ადგილზე „კრიტიკულ გასეირნებებს“ სტამბოლის ჩრდილოეთ ნაწილში ეკოლოგიურად კატასტროფული პროექტების განხილვის მეთოდად იყენებს.

ბიენალეს ფარგლებში ასევე ნაჩვენებია სტუდენტური ნამუშევრები.

ბრაუნშვაიგის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტი თბილისის საბურთალოს რაიონს მოიცავდა და მისი მიზანი იყო სოციალისტური დასახლებების ურბანული გამოწვევებისთვის არქიტექტურული გადაწყვეტის ძიება. გამოფენა “Fisksättra” წარმოადგენს ფართომასშტაბიან პროექტს, რომელიც სტოკჰოლმის ნაკას მუნიციპალიტეტის მოდერნისტულ რაიონში განხორციელდა. ამ პროექტს ეხება შვედური არქიტექტურული ბიურო “SECRETARY” ინსტალაციით – „სივრცე ჩვენ შორის“, რომელიც შედარებას აკეთებს გლდანთან. ვუპერტალის უნივერსიტეტი უჩვენებს პროექტს „კოტენციური სივრცეები“, რომელიც განლავთ ვუპერტალ არენბერგის სამეზობლოში წამოწყებული ურბანული ლაბორატორია

###

## კორპუსი 76

დღევანდელი თბილისის ურბანული დისტოფიის ფონზე, საბჭოთა მიკრორაიონების ერთგვაროვნება და 90-იანი წლების ბრუტალიზმი კულტურულ ფორმას იძენს და ურბანული განვითარების ჩარჩოს შექმნის საშუალებას იძლევა. გლდანის მიკრო რაიონები სოციალისტური უტოპიის კოლექტივისტური წარსულიდან გვიანი პოსტ-საბჭოთა კაპიტალიზმამდე ამ ურბანული განვითარების მაგალითია, პანელური კორპუსებით, შიდა და გარე სივრცეებითა და ცოცხალი ქუჩებით.

კორპუსი 76' მონაწილეობრივი და სათემო ხელოვნების პროექტია, რომელიც გლდანის მიკრორაიონის # 76 კორპუსში წარიმართება. პროექტი მიზნად ისახავს დამთავალიერებლებისათვის კერძო საცხოვრებელი ბინების გახსნას, მხატვრებისა და მაცხოვრებლების დაახლოებას, მეზობლების ფესტივალის კულტურის დამკვიდრებას და ხელოვნების საცხოვრებელ პრივატულ სივრცეში შემოტანას. პროექტში ხელოვანები არ ემსახურებიან უტოპიურ რეალობას, არამედ საერთო სოციალურ გარემოს ქმნიან. კორპუსი 76 სვამს კითხვას, ვინ არის მხატვარი?

მასპინძელი, რომელიც საშუალებას აძლევს მხატვარს შეიტანოს ნამუშევარი მის შემოქმედებაში – ბინაში? თუ მხატვარი, რომელიც გარდაქმნის კერძო სივრცეს საკუთარი ხედვით? აქ მხატვრის და მასპინძლის სამუშაო სტატუსი თანაბარია, ისევე როგორც გლდანის არქიტექტურის ბიენალე ათანაბრებს გლდანის რაიონს, საბჭოთა საძილე კვარტალს, ქალაქის სხვა ისტორიულ უბნებთან.

‘კორპუსი 76’ ტარდება თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში. გამოფენაზე ნაჩვენებია 24 ადგილობრივი და საერთაშორისო მხატვრის ნამუშევარი, რომლებიც კორპუსის მაცხოვრებლებთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ბინის პროექტის ხელოვანები:

- ანდრო ერაძე / საქართველო / ხელის შესტიკულაცია / ვიდეო HD / მონტაჟი

- ბარა გალო / ჩეხეთი / 76ის სკანირება / საუნდი, ნახატი
- დოდოშკა ჩხეიძე / საქართველო / ანარეკლები / ინსტალაცია
- ესთერ კემპ / შვეიცარია / მიმოქცევა / წყლის მიღები, წყალი, ნაპოვნო ობიექტები
- თეა გვეტაძე / საქართველო / გერმანია / ცის ია გლდანში / ფერწერა, ობიექტი
- იან ჩუდოვილოვ / შვეიცარია / კორპუსი 76–ის მუსიკალური ნაწილი
- იოჰანა პეჯ / გერმანია / მოგესალმებით ... – დან/ ღია ბარათები
- მარიამ ნატროშვილი + დეთუ ჯინჭარაძე / საქართველო / წაკითხვისთანავე დაწვი/ ტექსტი
- ნინო საკანდელიძე / საქართველო / ავსტრია / ჩემი სტატიკური შესრულება უკეთესია, ვიდრე შენი დაგეგმილი მოძრაობა / ქანდაკება
- ნუცა ესებუა / საქართველო / კარები / ფოტო

### **ხელოვანები კორპუსი 76–ის სადარბაზოში:**

- ალისა პლიშკა / პოლონეთი / დიახ, დიახ სამეზობლო / ინსტალაცია
- თამუნა ჭაბაშვილი / საქართველო / ჰოლანდია / მეხსიერების ღრუბელი / ინსტალაცია

### **ხელოვანები კორპუსი 76ის მიმდებარე სივრცეში:**

- ვაჟა მარი / გიო კუჭუხიძე / საქართველო / საუნდი ინსტალაცია
- მიშო სულაკაური / საქართველო / ქუჩის ხელოვნება
- MistoDiya კოლექტივი (დმიტრო ისაიევ, ანა დობროვა, დმიტრო პუტკინ, მარია სემენენკო) / უკრაინა / არა – საკმარისი შენობა / ინსტალაცია, თამაში
- ნატეკა ვაწაძე+თემო ქართლელიშვილი / საქართველო / პალმა - ჩემი ოცნების ხე / აქცია-პერფორმანსი
- ნინუცა შატბერაშვილი / საქართველო / პურ-მარილი 3 / პერფორმანსი
- სარა ქოულზ / აშშ / რესტიტუციის ბაღი / ხელოვნება საჯარო სივრცეში

კურატორები: გიგი შუკაკიძე / ლალი პერტენავა  
გამოფენის თარიღებია : 27-28 ოქტომბერი 17:00- 20:00 საათებში

ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის იქნება შესაძლებელი .

თბილისის არქიტექტურის ბიენალეს შესახებ დამატებითი ინფორმაცი იხილეთ ვებ გვერდზე: [www.biennial.ge](http://www.biennial.ge)

## ალტერნატიული ტური გლდანში

გლდანი - ქალაქი ქალაქში

თბილისი საკმაოდ კონტრასტული ქალაქია. ხშირად, როგორც ადგილობრივები, ასევე ჩამოსული სტუმრები თავს იყრიან მის ძველ უბნებში რათა შეიძინონ და აღმოაჩინონ ისტორიული შენობა ნაგებობები. ამისგან განსხვავებით არის თბილისის მეორე სახეც, საბჭოთა პერიოდის გარეუბნები. ეს ტური გაძლევთ შესაძლებლობას, რომ ეწვიოთ ერთ-ერთ ასეთ რაიონს და აღმოაჩინოთ ერთგვარი ცალკე ქალაქი თბილისის შიგნით. თქვენ ნახავთ სხვადასხვანაირ ბაზრებს, გარეუბნის ცხოვრებას, თუ როგორ გრძელდება ის საბჭოთა პერიოდის კორპუსებსა და საჯარო სივრცეებში, რომლებიც კაპიტალიზმის პირობებში იცვლება. სეირნობისას თქვენ გაიგებთ იმას, თუ რატომ არის თბილისის ეს ნაწილი განსაკუთრებული და შეესაბამება თუ არა ტურის დასახელება რეალობას.

გიდი: - ანა რამაზაშვილი; თურის თარიღი :26 ოქტომბერი,11:00-13:00 საათებში; ხანგრძლივობა: 2.5 – 3 საათი; ღირებულება: თითო მონაწილე 15 ლარი

პროექტის მხარდამჭერები არიან: Creative Europe Georgia ევროპის კულტურული ცენტრი, თბილისის მერია / Tbilisi City Hall, Enterprise Georgia / აწარმოე საქართველოში, TBC - თიბისი